



17/06/2020



GOV 1 20 00022397

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიხილა საქართველოს ელექტრონული მთავრობის პროგრამაში 16996 ნომრით ატვირთული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.

- „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ შემდეგი სახის შენიშვნებსა და წინადადებებს:

1. წარმოდგენილი პროექტის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება შრომით საქმიანობაზე საგანგებო მდგომარეობისა და საომარი მდგომარეობის დროს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ვფიქრობთ სასურველია, რომ კანონის მოქმედება ასევე არ გავრცელდეს საგანგებო სიტუაციებზეც. რამდენადაც მსგავსად საგანგებო მდგომარეობისა, საგანგებო სიტუაციების დროსაც ხდება დაწესებულებების ნორმალური ფუნქციონირების ხელშეშლა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ცალკეულ შემთხვევებში საგანგებო სიტუაციის ფართო მასშტაბის მიუხედავად შესაძლოა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა არ გამოცხადდეს. ამიტომ კანონის მოქმედება ასეთ შემთხვევებშიც უნდა გამოირიცხოს.

2. მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი ვალდებულია შრომის ინსპექციას, მისი მოთხოვნის საფუძველზე, მიაწოდოს დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, მათ შორის, პროფესიული საიდუმლოების ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი, რომელიც აუცილებელია ამ კანონით გათვალისწინებული ინსპექტირების განსახორციელებლად. შრომის ინსპექცია უფლებამოსილია საგადასახადო ორგანოსგან გამოითხოვოს საგადასახადო საიდუმლოება. აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო ორგანოები საიდუმლო და არასაიდუმლო ინფორმაციას მოიპოვებენ მხოლოდ სასამართლო კონტროლის გავლით. შრომის ინსპექციის მიზნით პირთა უფლებებში მსგავსი ჩარევა სასამართლო კონტროლის გარეშე მიზანშეუწონელია. მითუფრო მაშინ, როდესაც მსგავსი ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის ვალდებულებას, რისი შეუსრულებლობაც შესაძლოა ჩაითვალოს შრომის ინსპექტორთა საქმიანობისთვის ხელის შეშლად და გამოიწვიოს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პროექტი არ აწესებს

რაიმე სტანდარტს, რომლის დაკმაყოფილებაც აუცილებელია ინფორმაციის გამოსათხოვად. მიგვაჩნია, რომ შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ იმ ინფორმაციის გამოთხოვა, რომელიც არ წარმოადგენს საიდუმლო ან/და კონფიდენციალურ ინფორმაციას.

ამასთან, მე-15 მუხლში უნდა დაზუსტდეს, რომ აღნიშნული უფლებამოსილებები არ ვრცელდება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამსახველ მასალაზე, დანაშაულის გამოძიებასთან და პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაზე/ინფორმაციაზე.

3. წარმოდგენილი პროექტის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ინსპექტირების განხორციელების მიზნით, შრომის ინსპექტორი უფლებამოსილია თავისუფლად, წინასწარი შეტყობინების გარეშე, შევიდეს ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ნებისმიერ სამუშაო ადგილზე ან სამუშაო სივრცეში დღე-ღამის ნებისმიერ დროს. ამასთან, მოითხოვოს სამუშაო ადგილის ან სამუშაო სივრცის ან მისი ნებისმიერი ნაწილის ხელშეუხებლობა; მოიძიოს, გამოითხოვოს და გამოიკვლიოს ნებისმიერი მასალა, ინფორმაცია, დოკუმენტი ან/და ნივთი, რასაც შრომის ინსპექტორი გონივრულობის ფარგლებში, აუცილებლად მიიჩნევს; მოკვლევის მიზნებისათვის დალუქოს ან/და ამოიღოს ამ მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი ნებისმიერი მასალა, დოკუმენტი, საგანი ან/და ნივთიერება ან განახორციელოს ასლის გადაღება, აიღოს ნებისმიერი ნივთის, მასალის, არსებული ნივთიერების ნიმუში და ა.შ.

- მსგავსი ხასიათის ქმედებები წარმოადგენს პირად ცხოვრებაში ჩარევას, რაც უნდა განხორციელდეს სასამართლოს კონტროლის გავლით. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის თანახმად, არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა.
- მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ მოცემული პუნქტის თანახმად ინსპექტირება შესაძლებელია დღე-ღამის ნებისმიერ დროს, რაც წარმოადგენს იმაზე ფართო უფლებამოსილებას, ვიდრე კანონი ანიჭებს საგამოძიებო ორგანოს. კერძოდ, მაშინაც კი როდესაც სახეზეა სასამართლოს განჩინება, საგამოძიებო მოქმედება არ ტარდება ღამის განმავლობაში. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ შრომის ინსპექციის სამსახურისათვის საგამოძიებო ორგანოზე ფართო უფლებამოსილების მინიჭება, თანაც სასამართლო კონტროლის გარეშე, მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამოა.
- გასათვალისწინებელია ჩამოთვლილი ღონისძიებების შინაარსიც. მაგალითად დასახელებული პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ინსპექტორი უფლებამოსილია

მოკვლევის მიზნებისათვის ამოიღოს ამ მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი ნებისმიერი მასალა, დოკუმენტი, საგანი ან/და ნივთიერება. მნიშვნელოვანია დასახელებულის შეფასებისას აღინიშნოს, რომ შრომის ინსპექციის სამსახური არ წარმოდგენს საგამოძიებო ორგანოს, შესაბამისად იგი საკუთარ ქმედებებს ახორციელებს საქართველოს ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, რომლის თანახმადაც პირს შესაძლებელია საგანი ჩამოერთვას მაშინ, როდესაც იგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი ან უშუალო ობიექტია. გამომდინარე აღნიშნულიდან, ბუნდოვანია, თუ რის საფუძველზე აქვს შრომის ინსპექციის სამსახურს უფლება, ამოიღოს ესა თუ ის საგანი. დასახელებულ საკითხთან მიმართებით, უმჯობესია პროექტით საკითხი დარეგულირდეს იმგვარად, რომ თუ მასალა არ წარმოადგენს სამართალდარღვევის ჩადენის იარაღს ან უშუალო ობიექტს, შრომის ინსპექციის სამსახურს მიენიჭოს უფლება გადაიღოს მისი ასლი ნივთის დალუქვის ან/და ამოღების გარეშე.

- ასევე ბუნდოვანია, თუ რას გულისხმობს პირის გამოკითხვა, კერძოდ, რა სამართლებრივი ფორმით ხორციელდება იგი და რა პასუხისმგებლობა დაეკისრება პირს არასწორი ინფორმაციის მიწოდებისათვის.
- დასახელებული პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინსპექტირების განხორციელების მიზნით, შრომის ინსპექტორი უფლებამოსილია წინასწარი შეტყობინების გარეშე, სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე, დღე-ღამის ნებისმიერ დროს შევიდეს ნებისმიერ შენობაში, როდესაც არსებობს გონივრული საფუძველი იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის არსებობასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ პირის მიერ მატერიალური ან სხვაგვარი სარგებლის მიღების მიზნით შრომის ან მომსახურების გაწევის იძულება ან/და ადამიანის მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება (მისთვის ისეთი მდგომარეობის შექმნა, როდესაც ის ანაზღაურებით, არაადეკვატური ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე, სხვა პირის სასარგებლოდ ასრულებს სამუშაოს ან ეწევა მომსახურებას და მას არ შეუძლია ამ გარემოების შეცვლა ამ პირზე დამოკიდებულების გამო) არის ექსპლუატაციის ერთ-ერთი ფორმა და წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანაშაულს - ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგი). შესაბამისად ბუნდოვანია, სად გადის ზღვარი შრომის ინსპექტორისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს შორის. ამ მხრივ ასევე გასათვალისწინებელია, რომ შრომის ინსპექციის სამსახური არ წარმოადგენს საგამოძიებო ორგანოს, შესაბამისად შეუძლებელია, რომ მან აწარმოოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის გამოვლენასთან დაკავშირებული ქმედებები. დასახლებულ პუნქტთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ პროექტით არ არის განსაზღვრული, თუ რა წესით და რის საფუძველზე უნდა გაიცეს სასამართლოს ბრძანება. ბუნდოვანია, თუ როგორ უნდა მიმართოს შრომის ინსპექციის სამსახურმა სასამართლოს, კერძოდ უნდა გამოიყენოს ამისათვის ადმინისტრაციული სამართლის ნორმები თუ - სისხლის.

- გასათვალისწინებელია ისიც, რომ არაერთი სახელმწიფო დაწესებულება კრიტიკული ინფორმაციის სუბიექტია და ყოველგვარი წინასწარი მიმართვის, გაფრთხილების, შესაბამისი წესების გათვალისწინების გარეშე შრომის ინსპექტორის მიერ ინსპექციის ჩატარება და ყველა სახის დოკუმენტზე წვდომა არ არის მიზანშეწონილი.
- „ლ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ინსპექტირების განხორციელების მიზნით, შრომის ინსპექტორი უფლებამოსილია „მოითხოვოს ნებისმიერი პირისგან, მის განკარგულებაში მყოფი მასალის, დოკუმენტის, ნივთის ან ნივთიერების გადაცემა ან/და ნებისმიერ დოკუმენტში არსებული ჩანაწერის განმარტება, რასაც შრომის ინსპექტორი, გონივრულობის ფარგლებში, აუცილებლად მიიჩნევს მოკვლევის ჩასატარებლად ან/და სხვა ფუნქციის შესასრულებლად, მიუხედავად იმისა აღნიშნული არის თუ არა დამსაქმებლის სამუშაო ადგილზე ან სამუშაო სივრცეში“. აღნიშნულთან დაკავშირებით ვფიქრობთ, რომ ბუნდოვანი და განუსაზღვრელია ჩანაწერი „სხვა ფუნქციის შესასრულებლად“, ასევე ბუნდოვანია თუ რა სახის ნივთის/ნივთიერების/ობიექტის გადაცემას ითვალისწინებს ნორმა, შესაბამისად პუნქტი საჭიროებს რედაქტირებას განჭვრეტადობის თვალსაზრისით.
- ამასთან, „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჩანაწერი, ინსპექტირების განხორციელების მიზნით პოლიციის დახმარების გამოყენების თაობაზე საჭიროებს დაზუსტებას. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, პოლიცია, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად. აღნიშნული მიზნით, ნებისმიერ პირს შეუძლია მიმართოს პოლიციას სხვა სპეციალური კანონის რეგულირების გარეშე. შესაბამისად, დასაზუსტებელია, ინსპექტირებისას სხვა რა შემთხვევებში შეიძლება დადგეს პოლიციის დახმარების საჭიროება.

4. პროექტის მე-16 მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებთან დაკავშირებით ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის (შემდგომში - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია) ბალანსზე რიცხულ შენობაში იგეგმება ნატოს ქვერეგისტრის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის შენახვა-დამუშავებას, სადაც დაიშვება მხოლოდ ის პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი დაშვება ნატოს კლასიფიცირებულ ინფორმაციაზე. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული N1 დანართის („ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებისა და დაცვის წესი“) 44-ე მუხლის თანახმად, საიდუმლო სამუშაოებზე, დოკუმენტებსა და ნაკეთობებზე დაშვებულ პირებს ეკრძალებათ შეიტანონ

პირადი სარგებლობის კინო და ფოტოგადამღები, აუდიო და ვიდეოჩამწერი, რადიოგადამცემი და მიმღები, აგრეთვე პირგადასაღებ-სამრავლებელი აპარატურა ან ინფორმაციის შემკრები სხვა მოწყობილობა სარეჟიმო დაწესებულების (საწარმოს) ტერიტორიაზე ან სადგომში, სადაც სრულდება საიდუმლო სამუშაოები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ საიდუმლო რეჟიმის მქონე ობიექტებზე შესვლა და ჩამოთვლილი ფოტ-ვიდეო ტექნიკის გამოყენება მოცემული კანონის თანახმად არ უნდა იყოს დაშვებული.

5. ასევე აღსანიშნავია, რომ მე-16 მუხლში ქმედების განხორციელების სტანდარტად გვევლინება „გონივრულობის ფარგლები“. გამომდინარე იქიდან, რომ დასახელებული წარმოდგენს სუბიექტურ კატეგორიას და შეფასებას ექვემდებარება მხოლოდ შრომის ინსპექტორის მხრიდან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რას გულისხმობს დასახელებული სტანდარტი და დადგინდეს ობიექტური კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება შეფასდეს შრომის ინსპექტორის ქმედებათა კანონიერება. ასევე არ არის გათვალისწინებული სტანდარტი, რომლითაც მთავარი ინსპექტორი ხელმძღვანელობს ინსპექტირების დროს გამოსაყენებელი საშუალებების არჩევისას. პროექტი მხოლოდ რამდენიმე საფუძველთან მიმართებით იყენებს ფრაზას „გონივრულობის ფარგლებში“, თუმცა არ განმარტავს დასახელებულ სტანდარტს. კანონის პროექტი მთავარი შრომის ინსპექტორისათვის საკმაოდ ფართო უფლებამოსილებებს განსაზღვრავს, შესაბამისი კონტროლის ან/და შეზღუდვების დაწესების გარეშე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძველი, როგორიცაა ჩხრეკა და ამოღება, არის დასაბუთებული ვარაუდი. დასაბუთებული ვარაუდი კი განმარტებულია, როგორც ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი. მიგვაჩნია, რომ სუბიექტურად შეფასებადი და განუჭვრეტელი სტანდარტით პირთა უფლებებში იმგვარი ჩარევები, რომელიც უტოლდება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოქმედებებს, მიზანშეუწონელია.

6. მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად შრომის ინსპექტორი ვალდებულია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შრომის ინსპექტორს დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. ეს ვალდებულება შრომის ინსპექტორს უნარჩუნდება უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაშიც. მნიშვნელოვანია განისაზღვროს მოიცავს თუ არა დასახელებული დათქმა სისხლი სამართლის საქმეზე ინსპექტორის მოწმის სახით დაკითხვის შემთხვევებს. თუ ინსპექტორი თავისუფლება ან შესაძლოა გათავისუფლდეს დასახელებული ინფორმაციის სასამართლოს წინაშე გაცემის ვალდებულებისაგან, აუცილებელია რომ თანმდევი ცვლილებები განხორციელდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, თუმცა მოცემულ პროექტს თან არ სდევს მსგავსი ცვლილება. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა იწვევს შრომის ინსპექტორის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას ან სხვა სახის დისციპლინურ პასუხისმგებლობას. ვფიქრობთ უმჯობესია, რომ მსგავსად მე-19 მუხლთან დაკავშირებული შემთხვევისა, მოცემულ პუნქტშიც მიეთითოს „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის“ თაობაზე.

7. კანონპროექტის 20-ე მუხლის თანახმად, შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება: ა) „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით; ბ) საქართველოს ორგანული კანონით - „საქართველოს შრომის კოდექსით“; გ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით. გაურკვეველია რას გულისხმობს კანონპროექტის 20-ე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, რამდენადაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოსამსახურისთვის შესაძლებელია მხოლოდ დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, გარეშე პირი/ორგანო ამ პასუხისმგებლობას მოსამსახურეს ვერ დააკისრებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტის ძირითად პრობლემად გვესახება შრომის ინსპექტორის ფართო უფლებამოსილებები, რომელთა გამოყენებაც დაკავშირებული არ არის ობიექტურ საფუძველთან და ამასთან არ ექვემდებარება სასამართლოს მხრიდან კონტროლს. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს იმ ფონზე, როდესაც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საგამომიებო ორგანოებს მსგავსი ქმედებების განსახორციელებლად სჭირდებათ სასამართლოს ნებართვა, ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში - სასამართლოსათვის შემდგომი მიმართვა, ქმედების კანონიერების შემოწმების მიზნით. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ მსგავსი უფლებამოსილებებით ისეთი ორგანოს აღჭურვა, რომელიც არ წარმოადგენს საგამომიებო ორგანოს, მიზანშეუწონელია.

- საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს შემდეგი შენიშვნები და წინადადებები:

1. პროექტის მე-11 მუხლში (წინასახელშეკრულებო ურთიერთობა და ინფორმაციის გაცვლა შრომითი ხელშეკრულების დადებამდე) ამოღებულია მოქმედი შრომის კოდექსით განსაზღვრული ნორმა: „, ამასთანავე, დამსაქმებელს უფლება არ აქვს, კანდიდატს მოსთხოვოს მისი რელიგიის, რწმენის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური კუთვნილების, ორსულობის შესახებ ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არის ამ კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული განსხვავების აუცილებლობა.“ მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ ჩანაწერს უნდა ითვალისწინებდეს შრომის კოდექსში, რამდენადაც შინაგან საქმეთა სამინისტროში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებიც ექვემდებარებიან სპეციალურ შემოწმებას. სპეციალური შემოწმება გულისხმობს სამინისტროს სისტემაში მისაღებ/დასანიშნ კანდიდატთან დაკავშირებით ინფორმაციის გადამოწმებას/მოძიებას. სპეციალური შემოწმების მიზანია პირის პიროვნული და პროფესიული კეთილსინდისიერების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, მისი წარსული საქმიანობის პოლიციელის თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენა. აღნიშნული მოითხოვს, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას. შესაბამისად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებისთვის საჭიროა არსებობდეს შესაბამისი საკანონმდებლო საფუძველი.

2. მიზანშეუწონილად მიგვაჩნია პროექტის მე-14 მუხლის (შრომითი ხელშეკრულების შინაარსი)

პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი დარჩეს მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული წესით. მიზანშეწონილი არაა დანამატი, პრემია შრომის ხელშეკრულების ძირითად პირობებს მიეკუთვნებოდეს. აღნიშნული წარმოადგენს პირის წახალისების მექანიზმებს, შესაბამისად, მათი გამოყენება უნდა წარმოადგენდეს დამსაქმებლის დისკრეციას.

3. პროექტის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით არანაკლებ შრომის ანაზღაურების ნორმირებული საათობრივი განაკვეთის 125 პროცენტისა. გაურკვეველია, როგორ განისაზღვრება ნორმირებული საათობრივი განაკვეთი, ასევე, ხელფასის რა კომპონენტებს მოიცავს ნორმირებული საათობრივი განაკვეთი.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საჯარო დაწესებულებებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულები არიან მოსამსახურეები. აღნიშნული ჩანაწერი გაზრდის საბიუჯეტო დაწესებულებების ხარჯვით ნაწილს, რაც მოითხოვს მათი ასიგნებების გაზრდას. შესაბამისად, პროექტის მიღების შემთხვევაში გასათვალისწინებელია ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის/სახელფასო ფონდის გაზრდის საკითხიც.

4. პროექტის 27-ე მუხლის (ზეგანაკვეთური სამუშაო) მე-4 პუნქტი განსაზღვრავს დამსაქმებლის ვალდებულებას „წინასწარ 1 კვირით ადრე შეატყობინოს დასაქმებულს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია დამსაქმებლის ობიექტური საჭიროებიდან გამომდინარე.“ ვფიქრობთ, რომ შეუძლებელია 1 კვირით ადრე ზეგანაკვეთური სამუშაოს საჭიროების განსაზღვრა. ამიტომ აღნიშნული ჩანაწერის არსებობა რაციონალურ დასაბუთებას მოკლებულია.

5. მართებულია, პროექტის 48-ე მუხლის (შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შრომის კოდექსში არსებული რედაქციით. კერძოდ, „სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.“

აღნიშნული მნიშვნელოვანია იმ კონტექსტში, რომ შესაძლებელია გაუქმდეს ის სამუშაო ადგილი, სადაც პირი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტამდე მუშაობდა. ამიტომ უნდა არსებობდეს ტოლფასი სამუშაოთი დაკმაყოფილების შესაძლებლობაც.

6. გაურკვეველია პროექტის 48-ე მუხლის მე-9 პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს დასაქმებულის უფლებას, სამუშაო ადგილზე აღდგენის ან მის ნაცვლად დაკისრებული კომპენსაციის გარდა, მოითხოვოს იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. კომპენსაციაა გულისხმობს მატერიალური თუ მორალური ზიანის ანაზღაურებას. აღნიშნულზე დამატებით იძულებითი განაცდურის ანაზღაურება დამსაქმებელს, მათ შორის, საჯარო დაწესებულებებს დააკისრებს არაგონივრულ და არარაციონალურ ხარჯებს.

7. პროექტის 75-ე მუხლი ითვალისწინებს შრომის ინსპექციის კომპეტენციებს, მათ შორის, არის სამუშაო ადგილზე ტრეფიკინგის - იძულებითი შრომის ამკრძალავი საქართველოს კანონმდებლობის კონტროლი. ტრეფიკინგი არის სისხლის სამართლის დანაშაული და აღნიშნულის გამოვლენისა და გამომიების უფლებამოსილება არის შინაგან საქმეთა

სამინისტროს კომპეტენცია. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი კვეთაშია შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციებთან.

8. პროექტი 79-ე მუხლი ითვალისწინებს იძულებითი შრომის განმარტებას. 79-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს შემდეგს: „იძულებითი შრომა - ნებისმიერი სამუშაო ან სამსახური, რომელიც მოეთხოვება რომელიმე პირს რაიმე სანქციის მუქარით და რომელსაც ეს პირი ნებაყოფლობით არ შეასრულებდა, გამოიწვევს დაჯარიმებას 77-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესის გათვალისწინებით შესაბამისი ჯარიმის სამმაგი ოდენობით.“ სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლის შენიშვნის თანახმად, შრომის ან მომსახურების გაწევის იძულება წარმოადგენს ტრეფიკინგის ერთ-ერთ სახეს. შესაბამისად, აღნიშნული არის სისხლის სამართლის დანაშაული და იგი არ უნდა დაჯარიმდეს შრომის კოდექსით გათვალისწინებული წესით.

ავტორები:

გომელაური ვახტანგ (მინისტრი):